

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის  
ბელა ცუცქირიძის მიერ გაწეული მუშაობის  
ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგეხსენებათ, რომ საკრებულო მუშაობას შუდგა 2014 წლის 14 ივლისს. ამავე წლის 1 აგვისტოდან ვარ საკრებულოს წევრი, ასევე ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების“ წევრი. წარმოდგიდგენთ ანგარიშს, რომელიც მოიცავს ზემოთ აღნიშნულ პერიოდს დღემდე.

აღნიშნულ პერიოდში მქონდა შეხვედრები მოქალაქეებთან, უშუალოდ მათგან მოვისმინე არსებული პრობლემები. შეხვედრებისას გამოიკვეთა სოციალური საკითხები. სოციალურად დაუცველი პირების მდგომარეობა სავალალოა, ბევრ მათგანს ესაჭიროება დახმარება ამ კუთხით, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ვეხმარები მათ, ვუწევ შუამდგომლობას იმ სტრუქტურებთან, რომელთა კომპეტენციაშიც შედის საკითხის მოგვარება.

მნიშვნელოვანია "C ჰეპატიტის" პროგრამა, აქტიურად ვარ ჩართული ამ პროგრამის მოსახლეობის სწორად ინფორმირებაში. პროგრამის მიზანია "C ჰეპატიტის" ელიმინაცია საქართველოში და ქვეყანაში ამ ვირუსით გამოწვეული ავადობის და სიკვდილიანობის შემცირება, ახალი შემთხვევების აღმოცენების პრევენცია. მოქალაქეებს განემარტებათ, რომ ეს პროგრამა არის უფასო.

ასევე ვარ საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრი, სადაც აქტიურად ვარ ჩართული კომისიაში შემოსული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების განხილვაში. ამ კუთხით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პრობლემად რჩება გზები და წყალმომარაგების ქსელი, ასევე დგას ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებული პრობლემები რაც საჭიროებს რეაგირებას, თუმცა აღსანიშნავია, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ნაწილობრივ მოგვარებულია ზემოთ აღნიშნული პრობლემები.

ამ პერიოდში მიღებული გამოცდილებით, უფლებამოსილების ვადაში მაქსიმალურად ვეცდები უფრო ნაყოფიერი იყოს ჩემი მუშაობა, როგორც საკრებულოს წევრის.

საკრებულოს წევრი:



/ბელა ცუცქირიძე/